მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის არამ კარაპეტიანის ახკერპის ადმინისტრაციული ერთეულის სოფლების მოსახლეობასთან შეხვედრის

ო ქ მ ი N1

ქ. მარნეული **,,–09–„09–.2019 წელი**

შეხვედრას ესწრებოდნენ:

საკრებულოს წევრები: - არამ კარაპეტიანი,მამუკა ნავერიანი, ბესიკ გელენიძე, გივი გიორგაძე, რომან ტაბატაძე, ბესიკ გუჯეჯიანი, არსენ ახვერდიანი.

სხდომას ესწრებოდა - ახკერპისა ადმინისტრაციული ერთეულის სოფლების: ახკერპის,ვერხვიანის,ჩანახჩის მოსახლეობა, ასევე მარნეულის მაჟორიტარის პარლამენტის წევრის თამაზ ნავერიანის ბიუროს უფროსი აგილ ამირჯანოვი,მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საზოგადოებასთან, მედიასთან, არასამთავრობო სექტორთან ურთიერთობის და გენდერული საკითხების განყოფილების სპეციალისტები არჩილ მდივნიშვილი,ხოშგადამ ნოვრუზალოვა და მარიანა გვრიტიშვილი .

განსახილველი საკითხების დღის წესრიგი:

1. მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, ახკერპის ადმინისტრაციული ერთეულის მაჟორიტარი დეპუტატის არამ კარაპეტიანის ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ.

მოისმინეს: დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრმა, ახკერპის ადმინისტრაციული ერთეულის მაჟორიტარმა დეპუტატმა არამ კარაპეტიანმა ახკერპის ადმინისტრაციულ ერთეულში შემავალი სოფლების (ახკერპი,ვერხვიანი,ჩანახჩი) მოსახლეობას წარუდგინა 2019 წლის ანგარიში. საკრებულოს წევრი შეეხო ახკერპის ადმინისტრაციულ ერთეულში 2019 წელს განხორციელებულ ინფრასტრუქტურულ პროექტებს. აღინიშნა, რომ მიმდინარე წელს სოფელ ახკერპში სოფლის პროექტის ფარგლებში განხორციელდა სტადიონის მიმდებარე კედლის რეაბილიტაცია,სკოლის ჭიშკარის მოწყობა და ორი მოსაცდელის მოწყობა. ჩანახჩში სოფლის პროექტის ფარგლებში გარე განათების მოწყობა, სასმელი წყლის რეაბილიტაცია, კულტურის სახლის რეაბილიტაცია.ვერხვიანიში სოფლის პროექტის ფარგლებში შეიცვალა სასმელი წყლის მილები,შესრულდა ულიანოვკა–ახკერპის გზის ნაპირსამაგრი სამუშაოები.

აზრი გამოთქვეს: მოსახლეობამ ისაუბრა იმ პრობლემებზე, რომელიც აწუხებს სოფელ ახკერპის მოსახლეობას .ჩამოთვლილი პრობლემებიდან ყველაზე აქტუალურია საბავშვო ბაღის არქონა და შიდა გზების რეაბილიტაცია .

სოფელი ჩანახჩის მოსახლეობამ პრიორიტეტულ პრობლემად შიდა გზების მოხრეშვა დაასახელა,ასევე სოფლამდე მისასვლელი გზის არ ქონაზე ისაუბრეს . ადგილობრივებმა გააკეთეს აქცენტი სარიტუალო დარბაზის არ ქონაზე და სკოლის მშენებლობაზე .

გადაწყვიტეს: მოსახლეობამ დადებითად შეაფასა მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, ახკერპის ადმინისტრაციული ერთეულის მაჟორიტარი დეპუტატის არამ კარაპეტიანის ანგარიში გაწეული მუშაობის ანგარიში.